საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030896316838120

№ 07-36/ო **13 / მარტი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

''ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე–5 მუხლის საფუძველზე, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცილაური დაცვის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის № 01-62/ო ბრძანების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების საასგენტოს თანამშრომელთა და ბენეფიციართა უსაფრთხოების მხრივ შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სამსახურში არ გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ის თანამშრომელი:

ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფივირებულ ახალი კორონავირუსის (COVID-19) მაღალი გავრცელების ქვეყანაში/ქვეყნებში - ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნებიდან - საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნებიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;

დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი (COVID-19);

ე) ქრონიკული დაავადების მქონე/სხვადასხვა სახის იმუნოდეფიციტის მქონე პირები, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ვ) ორსული ქალები.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ორკვირიანი პერიოდი გაატარონ თვითიზოლაციის წესების დაცვით;

ბ) უზრუნველყონ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელისა და სააგენტოს აპარატის ინფორმირება სამსახურში არგამოცხადების მიზეზების შესახებ;

გ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, მიუთითოს შესაბამის პირთა ვინაობა და წარმოადგინოს მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის (მათ შორის: ხველა, სუნთქვის გაძნელება, მაღალი ტემპერატურა) მიმართონ ექიმს. აგრეთვე აცნობონ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს თუ საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა;

3. სააგენტოს ცენტრალურმა აპარატმა (სააგენტოს ადმინისტრაციამ), ტერიტორიული ერთეულების (რეგიონული/რაიონული ცენტრები), სტრუქტურულის ერთეულების (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი) და ფილიალების (სპეციალიზირებული დაწესებულებები) (შემდგომში ყველა ერთად წოდებული ''სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფი'') ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (მათ შორის შენობა-ნაგებობებში) ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების (კერძოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში ''სამინისტრო'') და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების www. moh.gov.ge/ka/741; www.ncdc.ge; www.stopcov.ge) დაცვა (მათ შორის შენობა-ნაგებობების სველი წესით დღეში სამჯერ დასუფთავება შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, უცხო პირებთან ურთიერთობისას 1.5 მეტრის დისტანციის დაცვა;

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად;

5. დაევალოს სააგენტოს აპარატს სამსახურებრივი მივლინებების გაუქმებისთვის/გადადებისთვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა;

6.ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) შეიზღუდოს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღავნელებმა უზრუნველყონ შესაბამის სტრუქტურ ქვედანაყოფებში გარეშე პირთა დაშვების და გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა/რეგულირება;

7. სააგენტოს თანამშრომლებმა, გარდა დირექტორის მოადგილეებისა, დეპარტამენტების უფროსების, სააგენტოს ფილიალების და თავშესაფრების უფროსებისა სამუშაო შეასრულონ დისტანციურად. ამასთან, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებმა განსაზღვრონ ის თანამშრომლები, რომლებიც დროებით გადავლენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) სააგენტოს ცენტრალური აპარატის ოფისში ყველა სამმართველოდან სამსახურში უნდა იმყოფებოდეს არანაკლებ 1 თანამშრომელი;

ბ) ტერიტორიულ ერთეულებში ოფისებში უნდა იმყოფებოდეს 2 თანამშრომელი;

ბ.ა.) სოციალურმა მუშაკებმა თავიათი ფუნქციები შეასრულონ დისტანციურად (მაშ შორის მინდობით აღზრდის შემთხვევების, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციართა შემთხვევებზე სატელეფონო კონტროლი შესაბამისი ოქმის გაფორმებით) და ადგილზე გასვლა განახორციელონ მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში;

გ)კრიზისულ ცენტრებში:

გ.ა) კრიზისულ ცენტრებში ოფისში უნდა იმყოფებოდეს 1 თანამშრომელი და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრში ასევე ცხელი ხაზის ოპერატორი;

გ.ბ) შეწყდეს მოქალაქეების მიღება, მომსახურება ბენეფიციარს გაეწიოს დისტანციურად. გადაუდებელ შემთხვევაში, ბენეფიციარის ოფისში მიღებისას, არ მოხდეს ერთდროულად ერთზე მეტი ბენეფიციარის მომსახურება;

დ) სააგენტოს ფილიალებში და თავშესაფრებში უზრუნველყოფილ იქნას ბენეფიციართა 24 საათიანი უწყვეტი მომსახურება;

8. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს სხდომები ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში;

9. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას, ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში უნდა გამოცხადდეს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 1 საათისა);

10. სააგენტოსა და მის სტუქტურულ ქვედანაყოფებში აიკრძალოს/შეიზღუდოს მესამე პირების (მათ შორის ბენეფიციართა მნახველ და გამყვან პირებად რეგისტრირებული პირების) ვიზიტები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა;

11. სააგენტოს თანამშრომლის ან ბენეფიციარის მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის (მათ შორის: ხველა, სუნთქვის გაძნელება, მაღალი ტემპერატურა) გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდეს აღნიშნული პირის იზოლირება და შემთხვევის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე (112) შეტყობინება;

12. სააგენტოში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს დაევალოს გაეცნოს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ. გვერდებზე (https://www.ncdc.ge/Pages/User/Video.aspx?ID=eeb2e721-cf5e-42df-a9e2-9fd7b6a82d99; https://www.ncdc.ge/Pages/User/Video.aspx?ID=211b1882-4f11-41d4-bd5a-144e20e19df2; https://www.ncdc.ge/Pages/User/Video.aspx?ID=f162e34a-dd45-4181-921f-cc572d90b8e1) სამედიცინო პერსონალისთვის განთავსებულ ინფორმაციას (წვეთოვანი და კონტაქტური გზით გადაცემადი პათოგენების შემთხვევაში საჭირო პირადი დაცვის აღჭურვილობის მოხმარების პროცედურები სამედიცინო პერსონალისთვის; ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) ეპიდემიოლოგია - პაატა იმნაძე; თენგიზ ცერცვაძე – ლექცია);

13. სააგენტოსა და მის სტუქტურულ ქვედანაყოფებში განცხადებების (მათ შორის ''სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის'' დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის N670-ე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის) მიღება განხორციელდეს ელექტრონულად მისამართზე: Infocareagency@moh.gov.ge. გამონაკლის შემთხვევებში, დოკუმენტების მატერიალურად მიღება მოხდეს სპეციალური ყუთების გამოყენებით ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;

14. თავშესაფარში/სადღეღამისო სეპეციალურ დაწესებულებაში ახალი ბენეფიციარის მიღებისას მოხდეს სპეციალური კითხვარის (დანართი N1) შევსება მოგზაურობის შემთხვევაში მოგზაურობის ისტორიის დადგენა, საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის იზოლირება და დაუყოვნებლივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე (112) შეტყობინება;

15. ''სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის'' კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების; ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის; ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის: ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის;დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის; დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის (სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი; საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი; სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი; ყრუ და სმენისარმქონე შშმ პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფის კომპონენტი; კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი; ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი); ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის; დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის;მინდობით აღზრდის; მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის; მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის; სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის (ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი; შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით ურუნველყოფის კომპონენტი); განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის; მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების; მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლებს, ბენეფიციარებს და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების მნახველ და გამყვან პირებად სააგენტოში დარეგისტირებულ პირებს მიეცეთ რეკომენდაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით იხელმძღვანელონ ''ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებითა და ამ ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი დებულებებით;

16. დაევალოთ სოციალური პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს, მეურვეობა-მზუნველობის და მხარდაჭერის სერვისების სამმართველოსა და უფროს სოციალურ მუშაკებს ამ ბრძანების გაცნობა მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი პირებისთვის;

17. დაევალოთ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში არსებული თანამშროლების მიერ საქმიანობის დისტანციურად განხორციელების კონტროლი;

18. ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტოს დისტანციურად მომუშავე თანამშრომელს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება;

19. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

20. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი მერი მაღლაფერიძე